

მალუთეინიზირებელი ჰორმონი LH

LH არის ჰორმონი, რომელიც წარმოიქმნება და გამოიყოფა ჰიპოფიზის მიერ. ქალებში იგი მენსტრუალურ ციკლს არეგულირებს და მისი დონე სწორედ ციკლის ფაზების მიხედვით იცვლება. მენსტრუალური ციკლის შუაში LH იმატებს და იწვევს ოვულაციას. ეს ჰორმონი ასევე ასტიმულირებს საკვერცხეების მიერ სტეროიდების (ძირითადად ესტრადიოლის) წარმოქმნას.

მამაკაცებში, LH ლეიდიგის უჯრედების მიერ ტესტოსტერონის პროდუქციას ასტიმულირებს.

LH-ის წარმოქმნა რეგულირდება ჰიპოფიზისა და ჰიპოთალამუსის მიერ. მისი პროდუქცია ასევე კონტროლდება ესტრადიოლის (ქალებში) და ტესტოსტერონის (მამაკაცებში) მიერ უარყოფითი უკუკავშირის გზით.

რატომ კეთდება LH-ის ტესტი?

LH-ის ტესტი შეიძლება გაკეთდეს, როდესაც პაციენტს აქვს ჰიპოფიზის, ჰიპოთალამუსის ან სასქესო ჯირკვლების დაავადების ნიშნები. ტესტი ინიშნება:

- უნაყოფობის მიზეზის დასადგენად
- მენსტრუალური პრობლემების - არარეგულარული ციკლის ან მისი არარსებობის - მიზეზების დასადგენად
- ოვულაციის ვადების დასადგენად (შარდის ანალიზით)
- ნაადრევი ან დაგვიანებული სქესობრივი მომწიფების სადიაგნოსტიკოდ

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. ქალებს ანალიზი მენსტრუალური ციკლის გარკვეულ დღეებში უტარდებათ და ამასთანავე, შეიძლება რამდენჯერმე იყოს სისხლის აღება საჭირო. ოვულაციის ვადების დასადგენად, შეიძლება შარდის ანალიზი ჩატარდეს.

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის, მაგრამ პაციენტმა თავი უნდა აარიდოს ისეთი მედიკამენტების მიღებას, რომელთაც ანალიზის შედეგებზე გავლენა შეიძლება იქონიონ. ასეთი მედიკამენტებია: ლევოდოფა, სპირონოლაქტონი, ფენოთიაზინი, დიგოქსინი, კლომიფენი, ორალური კონტრაცეპტივები, ციმეტიდინი და სხვ.

რას ნიშნავს მომატებული LH?

LH-ის მაღალი მაჩვენებლები შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- საკვერცხების აგენზია ან მათი ჰიპოფუნქცია
- ანორქია
- ტერნერის სინდრომი
- კლაინფელტერის სინდრომი
- საკვერცხის სიმსივნე
- მენოპაუზა
- პოლიციტური საკვერცხეების სინდრომი
- ნაადრევი სქესობრივი მომწიფება

რას ნიშნავს დაბალი LH?

LH-ის დაბალი მაჩვენებლები შეიძლება განპირობებული იყოს:

- ჰიპოთალამუსის დარღვევებით
- ჰიპოპიტუიტარიზმით
- ძლიერი სტრესით
- დაგვიანებული სქესობრივი მომწიფებით

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

ლუტროპინი

საჭირო ინფორმცია

ჩამოთვლილ ფაქტორებს შეუძლიათ LH-ის ტესტის შედეგებზე გავლენის მოხდენა:

- ჰიპერთირეოიდიზმი
- ღვიძლის დაავადებები
- ზოგიერთი მედიკამენტი
- ის დიაგნოსტიკური პროცედურები, რომლებშიც რადიოიზოტოპები გამოიყენება (თუ LH ანალიზის აღებამდე 7 დღით ადრე ჩატარდა)